ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №430080

ნომერი: AR189376

თარიღი : 30.10.2012

გაცემის თარიღი : 14.11.2012

გაცნობის თარიღი : 04.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თარხნიშვილი , N 2 (ყოფ. კობის ქუჩა N4);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბაკურ მირიანაშვილი პ/ნ 01018002018
- თბილისი ს.ჯანაშიას ქ. N 4

ორგანიზაცია:
- შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი კოდი: 205286616

ნომენკლატურა :

- საავადმყოფო
- IV კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030007070
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვაჟა ლალებაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს '' ემ ჯი აი''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205197865

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3854.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 7214.3
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 36976.99
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 26354.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 10622.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 15.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.5

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N45, 06.11.12 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, თარხნიშვილის ქ. N2 (ყოფ. კობის ქ. N4)–ში არსებული საავადმყოფოს შენობის დემონტაჟის პროექტს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "წარმოდგენილი იქნეს განშლები".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ბ. მირიანაშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას, მოქ. ბ. მირიანაშვილს, ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, თარხნიშვილის ქ. N2(ყოფ. კობის ქ. N4)–ში არსებული საავადმყოფოს შენობის დემონტაჟის წარმოდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.